ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4645516

ნომერი: AR1698671

თარიღი : 10.08.2019

გაცემის თარიღი : 23.08.2019

გაცნობის თარიღი : 23.08.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოთუა , N 18 ზ ; ქალაქი თბილისი , გოთუას ქუჩა N18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დალი ბენაშვილი პ/ნ 01034005571
- თბილისი დ.ბერიაშვილის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 10 აგვისტოს AR1698671 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
მიწის ნაკვეთების არასწორი გამიჯვნების დინამიკისა და მიმდებარე ტერიტორიის ქაოტური განაშენიანების გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს ტერიტორიის ქაოტური სამშენებლოდ განვითარება და ერთიანი სივრცითი გადაწყვეტის დარღვევა, რაც შემდგომში იწვევს მისასვლელი გზების და ქალაქის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ მქონე მიწის ნაკვეთების ჩამოყალიბებას და მათ უსისტემო განაშენიანებას, არქიტექტურის სამსახურს საპროექტო მიწის ნაკვეთის დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარება შესაძლებლად არ მიაჩნია. მიზანშეწონილია ტერიტორიის ერთიან კონტექსტში განხილვა და მისი ერთიანი პროექტის ფარგლებში განვითარება, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს, ნორმალური საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად ტერიტორიის ინფრასრუქტურული და საზოგადოებრივი ობიექტებით უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის განვითარება მხოლოდ გრგ-ს ფარგლებში.

გრგ-ს შეთანხმებისათვის საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის https://urban.tbilisi.gov.ge ვებ გვერდზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.